სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, ნათია პაპავას, საქმიანობის წლიური

ანგარიში

2023 წელი

მოგეხსენებათ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოში წარმოვადგენ მაჟორიტარ დეპუტატს.

დიდი პატივია, იყო საკრებულოს წევრი, ატარო ეს მანდატი და იმუშაო ქალაქის კეთილდღეობისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, ქალაქი დაყოფილია სამ სამაჟორიტარო ოლქად. მე წარმოვადგენ მჭიდროდ დასახლებული ქალაქის ნაწილს, რომელიც აერთიანებს 9000-ზე მეტ ამომრჩეველს. ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომლობა საკრებულოს წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობის საფუძველია, რაც აისახება ჩვენი ქალაქის ყოველდღიურობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია საკრებულოს თითოეული წევრის წვლილი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობაში, რადგან მივიღოთ სწორად განვითარებისთვის შესაბამისი გადაწყვეტილებები. მონიჭებული მანდატის განმავლობაში, ჩვენ, ყველანი ერთობლივად შევძლებთ განვახორციელოთ ჩვენი ქალაქისა და მოქალაქეებისათვის სასიკეთო საქმიანობა. ვანხორციელებთ ერთობლივ სამუშაოებს, რათა წარმატებით დავძლიოთ ქალაქის წინაშე მდგარი გამოწვევები და დავგეგმოთ ჩვენი ქალაქის

საკეთილდღეო პროექტები.

მოცემული ანგარიში ასახავს იმ საქმიანობას, რაც 11 თვის განმავლობაში , საკრებულოში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ჩვენი ამომრჩევლების თხოვნით იქნა განხორციელებული და ემსახურებოდა ქ. სამტრედიის გაუმჯობესებას.

საკრებულოში, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, წარმოგიდგენთ მიმდინარე წლის (იანვარი- ოქტომბერი) მუშაობის შესახებ ანგარიშს.

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქცია,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ საქმიანობის შედეგად ხდება, ჩვენი ქალაქის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 11 სხდომა. აქედან დავესწარი 10-ს, ერთ სხდომაზე არ ვყოფილვარ, ვინაიდან ვიმყოფებოდი შვებულებაში. ასევე დავესწარი, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 6 სხდომას (მათ შორის 5 გაერთიანებული) საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა კომისიასთან და გენდერული თანასწორობის საბჭოს 2 სხდომას.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით და ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატების ჩართულობით მიღებული იქნა გადაწყვეტილებები, ჩვენი ქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. მათ შორის:

- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა.
- გამწვანება და კეთილმოწყობა.
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა და სხვა მრავალი (ტრანსპორტი, ეკოლოგია,მუნიციპალური ქონების მართვა, გეოგრაფიული ობიექტების სახელდება).

საკრებულოზე, ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, ჩვენს ქალაქში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

უფლებამოსილების განხორციელებისას ვმონაწილეობ საკრებულოს სხდომებსა და მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის და კერძოდ, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებისათვის ზრუნვას, ხალხთან კომუნიკაციას და მათ ჩართულობას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში.

ვცდილობ ამ პრინციპით ვიმუშაო. მაქსიმალურად ვცდილობ ვიყო ჩემი ამომრჩევლის გვერდით და შევცვალო მათი ყოფითი ცხოვრება უკეთესობისკენ. დავეხმარო მათ, ვისაც ყველაზე მეტად ჭირდება ჩვენი დახმარება. გავუუმჯობესო საცხოვრებელი პირობები, შევთავაზო ინფრასტრუქტურული განვითარებისა და რეაბილიტაციის პროექტები. გავუწიო ადვოკატირება მათთვის სასურველ მიმართულებებში. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა განცხადება-წერილებზე მუშაობას. ეს არის: ჯანდაცვა და სოციალური საკითხები, შიდა გზებისა და ეზოების, სკვერების, ბავშვთა სპორტული მოედნების მოწყობა, ქალაქის სანიტარული დასუფთავება, განათების ბოძების მოწყობა-რეაბილიტაცია, საშინაო და ყოფითი პირობების გაუმჯობესება. მაჟორიტარი დეპუტატის რანგში მიწევს მოქალაქეთა მიღება სისტემატიურად. ზეპირი კონსულტაცია გავუწიე 60-მდე მოქალაქეს. აგრეთვე წერილობითი შუამდგომლობები, სხვადასხვა სერვისების მიღების მიზნით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უზრუნველყოფის პროგრამებით სარგებლობის მიზნით, პერიოდულად ვეხმარები და ვშუამდგომლობ მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან.

სოციალური ფონი კვლავ მძიმე რჩება და აქედან გამომდინარე ჩემი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობად მიმაჩნია სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება. ასევე, ზრუნვა დევნილ მოსახლეობაზე.

საანგარიშო პერიოდში დახმარება გავუწიე 402 მოქალაქეს, ყოფითი და სამედიცინო დახმარების პრობლემების მოგვარებაში. კერძოდ:

- სამედიცინო მომსახურების დაფინანსება.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება.
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში და სხვა.

კომპაქტურად ჩასახლებული დევნილთა ოჯახები სარგებლობენ ყველა მათზე განკუთვნილი შეღავათებითა და დახმარებით.

პირადად მე, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან და საკრებულოს წევრებთან ერთად სადღესასწაულო დღეებში, სასურსათო ამანათები გადავეცით მოწყვლად ოჯახებს.

ჩვენი და ჩვენი ხელისუფლების აქტიური ჩართულობით განხორციელდა მრავალი მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

მიმდინარე წელს, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სამუშაოები განხორციელდა სხვადასხვა ლოკაციებზე. ქალაქის ინფრასტრუქტურის განახლება-აღდგენა, ახალი დასასვენებელი და სპორტული სივრცეების მოწყობა, ჩვენს მიერ დაგეგმილ პროექტებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩემს სამაჟორიტორო სივრცეში არაერთი ლამაზი დასასვენებელი მწვანე სივრცე მოეწყო და სპორტული მოედნები შეემატა.

კერძოდ, ლაშა თევზაძის ქუჩაზე N 59, 60, 61 და 62 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული საფეხბურთო მოედანი.

ასევე, რობაქიძის ქუჩაზე და რობაქიძის მე-3-ე ჩიხის გადაკვეთასთან მიმდინარეობს სტადიონისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცის მოწყობა (ფანჩატური, ატრაქციონი).

დასრულდა, ლაშა თევზაძის N2 და N4 კორპუსების სრული რეაბილიტაცია. აღნიშნულმა პროექტმა, მნიშვნელოვნად გაალამაზა ქალაქის შემოსასვლელი და იერსახე.

ლაშა თევზაძისა და რობაქიძის ქუჩებზე განხორციელდა გარე განათების ბოძების შეღებვითი სამუშაოები. ასევე არხების რეაბილიტაცია.

ძლიერი ქარის შედეგად, ჩვენს მუნიციპალიტეტში წაქცეულმა ხეებმა დააზიანეს ელექტრო სადენები, ქვაფენილები, დეკორატიული ღობეები. დაზიანდა საცხოვრებელი სახლების სახურავები. შესაბამისი სამსახურების მიერ, უწყვეტ რეჟიმში განვახორციელეთ სალიკვიდაციო სამუშაოები.

მიმდინარეობს გრიბოედოვის ქუჩაზე, გზის მიმდებარედ არსებული არხების რეაბილიტაცია.

ტერიტორია გავათავისუფლეთ მყარი ნარჩენებისგან.

ლაშა თევზაძის ქუჩაზე ახლადრეაბილიტირებულ ,,ჩოგბურთის კორტებზე“ მოყვარულთა ჩემპიონატი ჩატარდა, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა და რაც ერთგვარად ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას.

რუსთაველისა და რესპუბლიკის ქუჩების კვეთაზე მიმდინარეობს არსებული შუქნიშნების რეაბილიტაცია. მოხდება არსებული გზაჯვარედინების სრული რეაბილიტაცია და ეწყობა ახალი თანამედროვე ტიპის ქვეითთა გადასასვლელები და საგზაო ინფრასტრუქტურის ნიშნები.

მე-3-ე საჯარო სკოლის წინ მოეწყობა ქვეითთა გადასასვლელი.

მაიაკოვსკის ქუჩის მე-2-ე ჩიხში დასრულდა ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეულია შეთანხმება და გარკვეული სამუშაოები დაწყებულია N2 ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაციისათვის. რაც ერთობლივი მუშაობით იქნა დაძლეული. აშენდება სრულად ახალი N4 ბაგა-ბაღი, ნინოშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საბავშვოების
№2
ბაბა-ბაღი

მიმდინარე წელი დავიწყეთ ამომრჩეველთან შეხვედრით და დღესაც აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან. შეხვედრებისას იკვეთება პრიორიტეტები. სწორედ ჩვენი აქტიურობით და საქმისადმი თავდადებით ხორციელდება ის მიმდინარე საქმიანობები, რაც ერთობ წარმოაჩენს ჩვენს ქალაქს.

მადლიერებას გამოვხატავ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს აპარატის მიმართ. ნაყოფიერად ვთანამშრომლობ მუნიციპალიტეტის მერთან, მადლობა მას. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო მერიის სამსახურის უფროსებს გაწეული თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

მინდა ავღნიშნო,რომ ამავდროულად ვარ სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე. აქტიურად ვარ ჩართული ყველა აქტივობას, ტრენინგსა თუ ღონისძიებაში.

ვარ, ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს ქალთა ორგანიზაციის იმერეთის რეგიონის გამგეობის წევრი.

და ბოლოს, მინდა გამოვყო ის ძირითადი მინიშნებები, რომელთა მოგვარება ჩემი და ჩვენი გუნდის მიზანია და რომლის მოგვარებასაც თქვენთან ერთად შევძლებ:

- საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, არსებული საწრეტი არხების დაღრმავება და დაწრეტა.
- მრავალბინიანი კორპუსების, კერძოდ ლ. თევზაძის ქუჩა, სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვის სამუშაოები.
- არაყიშვილის ქუჩაზე არსებული მაცხოვრის სასაფლაოს შემოღობვა, თანამედროვე ტიპის ღობით.
- ჩვენი ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმარებისას გათვალისწინებული იქნეს მეტი მწვანე სივრცეები, სკვერები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობა ქალაქში.

მჯერა, აღნიშნული პრობლემების გადაჭრის პროცესი დაწყებულია და წარმატებით განხორციელდება. ჩვენი გუნდი, კიდევ ბევრ წარმატებას გაიზიარებს და ხელს შევუწყობთ ჩვენი ქალაქის განვითარებას.

დარწმუნებული ვარ, მომავალი წელი ჩვენი ქალაქისა და თითოეული ჩვენთაგანის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, სამტრედიისათვის კიდევ უფრო წარმატებული იქნება და ჩვენს მიერ დაგეგმილი ახალი პროექტები, ჩვენი ამომრჩევლის კეთილდღეობაზე აისახება.